სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

მარშალ გელოვანის გამზ. N36ა
0159 თბილისი, საქართველო
(+995 32) 91 91 67
info@nfa.gov.ge

01 თებერვალი 2024

N 09/776

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის

პროგრამის კოორდინატორს ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

N3-912 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილმა პირებმა სახელმწიფო კონტროლი (დოკუმენტური შემოწმება) განახორციელეს შემდეგ ბიზნესოპერატორებთან:

ი/მ "დავით მუჯირიშვილი" (სასურსათო მაღაზია-მარკეტი; ს/კ 10001065166, მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მას. მე-5 მ/რ, მე-3 კორპუსის მიმდებარედ). სახელმწიფო კონტროლისას ბიზნესოპერატორმა წარმოადგინა რძის შემცველი პროდუქტის -,,მთიულური'' ეტიკეტი (მწარმოებელი შპს ,,ველი'', მის: საქართველო, ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქ. N87. ა/კ GE 01.10.51.0.833), რაც შეეხება არაჟანს (ასაწონი), შემოწმების დროს აღნიშნული სურსათი არ იყო რეალიზაციაში.

ბიზნესოპერატორს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში არ ჰქონდა მითითებული ოპერირების ფაქტობრივი მისამართი, რის გამოც, ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის' 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაჯარიმდა 500 ლარით.

ი/მ ,,დავით ჯიქიძე"- (სასურსათო მაღაზია-მარკეტი; ს/კ 01019005151, მისამართი: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს ქ. N5-ის მიმდებარედ). მიკვლევადობით დადგინდა, რომ სარეალიზაციო დახლზე განთავსებული მაწვნის მიმწოდებელია ფ/პ (მისამართი: თეთრიწყაროს რაიონი, სოფ. ორბეთი). სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას გამოვლინდა მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის დარღვევა, ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა და ვადაგასული სურსათის განთავსების ფაქტი, რის გამოც ბიზნესოპერატორი ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის" 65-ე მუხლის I ნაწილის, 66-ე მუხლის მე-6 ნაწილისა და 67-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, დაჯარიმდა 500 ლარით და შეუჩერდა საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციამდე.

ი/მ „ხათუნა ჭელიძე” (სასურსათო მაღაზია-მარკეტი; ს/კ 33001071538, მისამართი: ქ. თბილისი, ბორის პაიჭაძის ქ N5ა). მიკვლევადობით დადგინდა, რომ სარეალიზაციოდ განთავსებული „საჩხერის ყველის“ მომწოდებელია ფ/პ. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას გამოვლინდა მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის დარღვევა და ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა, რის გამოც, ბიზნესოპერატორი ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ 65-ე მუხლის I ნაწილისა და 66-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, დაჯარიმდა 500 ლარით და შეუჩერდა საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციამდე.

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი